პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი პირველი

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

4 ოქტომბერი
სამშაბათი

1792. კონვენტის გახსნა პარიზში და მეფის ხელისუფლების გაუქმება.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

გაზეთის დაკვეთა
და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4.
ტელეფონი №

დღიური

მოსკოვი გზავნის საქართველოსათვის საფეიქრო ფაბრიკის მანქანებს და სხვა მოწყობილებას.

საფრანგეთში გრძელდება ფეიქრების, მშენებელთა და მელითონეთა გაფიცვები.

11 ოქტომბერს ლონდონში გაიხსნება საერთაშორისო კონფერენცია, რომლის მიზანია ევროპის ეკონომიური გაჯანსაღება.

№ 176 სამშაბათი, 4 ოქტომბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი სამშაბათი, 4 ოქტომბერი. 1921 წ. № 176

სახალხო მეურნეობის საბჭოთა ყრილობა

ივნისში შესდგა საქართველოს პროფწარმოებითი კავშირების ყრილობა. მას შემდეგ გაიმართა ცალკე კავშირების ყრილობები. ჩვენს წინ გადაიშალა მთელი სურათი საქართველოს პროლეტარიატის ახლანდელი მდგომარეობის, მისი სულისკვეთების, მისი გმირობის შრომის ფრონტზე. ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ საქართველოს სუსტ მრეწველობას საკმაოთ ჰყავს როგორც შრომის ჯარი, ისე შრომის ხელმძღვანელი აფიცრები. უეჭვო გახდა, რომ ქალაქის მშრომელი მასსა თანდათან ერკვევა მდგომარეობაში, გადაჭრით დგება კლასობრივ ნიადაგზე, რომელსაც ის ჩამოაცალეს მენშევიკებმა, ნდობას უცხადებს პროლეტარიატის პარტიას—კომუნისტურ პარტიას და, მიუხედავათ ცხოვრების პირობების გაუარესებისა, ენერგიულათ ამოძრავებს თავის მარჯვენას საბჭოთა რესპუბლიკის დასაყრდნობ ნიადაგის—წარმოების—გასამაგრებლად, მის ასაყვავებლად.

პროლეტარიატი მუშაობს და მზათ არის გააორკეცოს თავისი ძალა შრომის ფრონტზე საბრძოლველად, სახალხო მეურნეობის წინ წასაწევად. მაგრამ არ კმარა მშრომელი მასსის ხალისი და ენტუზიაზმი ამ ფრონტზე გასამარჯვებლად, მიუცილებლად საჭიროა მიზანშეწონილი მუშაობა-მოქმედება იმ ორგანოსი, რომელიც მთავარი ხელმძღვანელია ამ ფრონტზე, რომელიც მრეწველობას ანაყოფიერებს საერთო გეგმით. ეს ორგანოა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო მისი ადგილობრივი შტოებით. და შემთხვევით მოვლენათ არ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ წარმოებითი კავშირების ყრილობების, მათი დათვალიერების მოთავების შემდეგ, თბილისში იხსნება სახალხო მეურნეობის საბჭოთა ყრილობა.

უდიდესი მნიშვნელობის საქმე აქვს გასაკეთებელი ამ ყრილობას. მან უნდა დაგვიხატოს და გადაგვიშალოს ჩვენი მეურნეობის მთელი სურათი. მან უნდა სწორი დიაგნოზი დაუსვას ჩვენი მეურნეობის მტკივანი ადგილების, მანვე უნდა გამოძებნოს გამკურნავი საშუალება.

მხოლოდ ნახევარი წლის გამოცდილება აქვს ჩვენს განსაზოგადოებრივებულ მეურნეობას, მხოლოდ ექვსი თვე არსებობს ჩვენი სოციალისტური მეურნეობა. ასეთ მოკლე ხანში ის ვერ გაიშლებოდა სავსებით, თვალსაჩინო მიღწევანი მის აწინდელ სინამდვილეში ნაკლები იქნება. მაგრამ ერთი რამ შეიძლება გადაჭრით ითქვას: ის ხაზი, ის საერთო მიმართულება, რომელიც აღებულია ჩვენს მეურნეობაში, ერთად ერთი სწორი ხაზი და მიმართულებაა. მხოლოდ ამ ნიადაგზე, მხოლოდ სოციალისტურ საძირკველზეა შესაძლებელი ჩვენი მრეწველობის მოღონიერება და წინსვლა. ის შესწორება—კორექტივები, რომელიც ისტორიული მომენტის მიერ ნაკარნახევია და აღბეჭდილი საბჭოთა რესპუბლიკების ახალ ეკონომიურ პოლიტიკაში, ეს შესწორებანი მხოლოდ აადვილებენ ახლანდელ პირობებში საერთო უცვლელი მიზნის მიღწევას. ეს მიზანია კი—მეურნეობის სოციალისტური ორგანიზაცია.

ადგილობრივი მუშაკების გამოცდილებამ უნდა გააშუქოს ეს მთავარი დებულება ჩვენი ეკონომიურ პოლიტიკის და, მრავალ სხვა საკითხების გადაჭრასთან ერთად, უნდა პასუხი გასცეს კითხვაზე: ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების აღორძინება-განვითარებისათვის რა შესწორების შეტანაა საჭირო ახალ ეკონომიურ პოპოლიტიკაში.

უეჭველია, ყრილობა თავის მოწოდებას შეასრულებს სავსებით, კრიტიკის ნესტარს გაუყრის ყველა დაჩირქებულ ადგილებს ჩვენ ახლანდელ ეკონომიურ პოლიტიკაში და მიუთითებს საბჭოთა მთავრობას შესაფერ საშუალებებზე ჩვენი სახალხო მეურნეობის ასაღორძინებლად და ასაყვავებლად.

წერილები კოოპერაციაზე

7. დასკვნა. კოოპერაციის გაერთიანება.

წინა წერილებში მე ვცდილობდი კავკასიის კოოპერაციის წინაშე წამოჭრილი ძირითადი ამოცანების აღნუსხვას. ეს ამოცანები მოკლეთ ასეთია:

1. კავკასიის მომხმარებელმა კოოპერაციამ თავს უნდა იდოს სახალხო სასურსათო კომისარიატისაგან მიღებული პროდუქტების განაწილება მცხოვრებთა შორის. ის უნდა ემსახურებოდეს მთელ მოსახლეობას, ამიტომ ისინი ყველა უნდა მოაქციოს მან თავის წევრთა რიცხვში.

2. წვრილი მომხმარებელი კოოპერატიული საზოგადოებები უნდა გაერთიანდნენ, რომ ამ გზით მოაწყონ ყოველ ქალაქში—და სოფლებში ერთი მრავალ დუქნიანი კოოპერატივი.

3. უნდა მოწყობილ იქნენ ერთიანი მუშურ-გლეხური კოოპერატიული საზოგადოებანი, რომლებშიაც შევლენ როგორც მუშები, ისე მცხოვრებთა სხვა წრეებიც, მუშების გამოუყოფლათ ცალკე დამოუკიდებელ მუშათა კოოპერატივებში. მუშათა მომარაგების გასაძლიერებლათ ამ უკანასკნელთ შეუძლიათ მოაწყონ ერთიან მომხმარებელ საზოგადოების ფარგლებში თავის, მუშური პატარა-პატარა კავშირები მომხმარებელთა, რომლებიც ყველა თავის ოპერაციებს აწარმოებენ იმ საზოგადოების საშუალებით, რომელშიც ისინი შედიან. ამ პატარა კოოპერატიულ კავშირების ბაზარზე დამოუკიდებლათ გამოსვლა შეუწყნარებელია.

4. მომხმარებელმა კოოპერაციამ თავს უნდა იდოს საქონლის გაცვლა-გამოცვლის უმთავრესი სიმძიმე. მან უნდა აიღოს თავის თავზე მთელი საქმე სოფლიდან სასოფლო მეურნეობის ზედმეტი პროდუქტების ამოკრეფის იმ საქონლის სამაგიეროთ, რომელსაც აგზავნის იქ საბჭოთა ხელისუფლება.

5. მომხმარებელმა კოოპერატივმავე უნდა იდოს თავზე გაცვლა-გამოცვლა ერთი წვრილ მწარმოებლის საქონლის—მეორისაზე.

6. იგივე კოოპერატივი უნდა შეუდგეს ენერგიულად ნედლეულობის შეკრებას სოფლად, რათა ეს ნედლეულობა გადაცემულ იქნას საბჭოთა ხელისუფლებისათვის გადასამუშავებლათ ფაბრიკებში და ზავოდებში და ასე გადამუშავებულის ან ისევ ნედლეულობის სახით საზღვარ გარეთ გასაცვლელათ, (საგარეო ვაჭრობის ორგანოს საშუალებით) და იქიდან საჭირო საქონლის მოსატანათ. ნედლეულობის მოკრება, მისი ყიდვის გარდა, შეიძლება სხვა გზითაც: შეიძლება შემოტანილ იქნეს წევრების მიერ ნატურით კოოპერატივში შემოსვლისთანავე შემოსატანი თანხა, პაი, ავანსები და სხვ. მომხმარებელი კოოპერაცია უნდა შეიქნეს იმ ერთად-ერთ ორგანიზაციათ რომლის საშუალებით სოფლის წვრილი მწარმოებელი უნდა დაუკავშირდეს სახინაო და საგარეო ბაზარს.

7. მომხმარებელ კოოპერაციასთან ერთათ [illegible] უნდა განვითარდეს საწარმოო კოოპერაცია (სასოფლო-სამეურნეო და მიწა მრეწველთა). მისი მიზანია წვრილ მწარმოებელთა გაერთიანება წარმოების საქმეში (მიწის საზოგადოებრივი დახვნა, სასოფლო მეურნეობის პროდუქტების საერთო ძალით გადამუშავება, შინა მრეწველთა საერთო მუშაობა კოლექტიურ სახელოსნოებში და სხვ.) ამასთან ერთათ უნდა მიექცეს ფრიად სერიოზული ყურადღება წარმოებაში მანქანების შემოღებას, აგრეთვე მიწის დამუშავებისა ან და პროდუქტების გადამუშავების წესის გაუმჯობესებას.

კოოპერატიული ორგანიზაციები ვერ შესძლებენ მოაგვარონ ეს ძნელი და რთული საქმე, თუ ისინი დაიწყებენ მუშაობას ერთი ერთმანეთისაგან განცალკევებულათ. ამ საქმის წარმატებით წარსამართავათ საჭიროა ორგანიზაცია, კოოპერაციების კავშირებში გაერთიანება. კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებში უნდა მოეწყონ მომხმარებელ საზოგადოებათა საგუბერნიო კავშირები. ეს საგუბერნიო კავშირები თითო ამ რესპუბლიკაში ერთიანდებიან ცენტრალურ კავშირში (საქართველოსი, აზერბაიჯანის და სხვ.). ყველა ოპერაციები ცალკე მომხმარებელ საზოგადოებათა შორის იწარმოებენ ამ ქვეყნის საგუბერნიო კავშირების და ცენტრალური კავშირის საშუალებით. საქმიანობის ასეთი წესი მოგვცემს ძალების, საშუალებათა და დროის დიდ ეკონომიას და კოოპერაციასაც ასცდება თავზე ის უთანხმოებანი, რომლებიც აუცილებელი არიან იმ შემთხვევაში თუ თითო ცალკე კოოპერატივი დამოუკიდებლათ გამოვა ბაზარზე და დაიწყება მათ შორის მეტოქეობა.

კავკასიის კოოპერატივთა ყველა ცენტრალურ კავშირებმა უნდა გააერთიანონ თავიანთი მუშაობა როგორც ერთი ქვეყნის პროდუქტების მეორისაზე გადაცვლის საქმეში, ისე უცხოეთის ბაზარზე თანხმობით გამოსასვლელათ. როგორც ერთი, ისე მეორე საქმე უნდა მოეწყოს კავკასიის ცენტრალურ მომხმარებელ კოოპერატივთა კავშირის საშუალებით, საწარმოო კოოპერატივისათვის არ არის საჭირო ასეთი გაერთიანება.

კოოპერაციის წინაშე წამოჭრილ ამოცანების გადასაწყვეტათ და აღმშენებლობის ხსენებული გეგმის გასატარებლათ აუცილებელია, რომ კოოპერაცია გაიჟღენთოს ახალი რევოლიუციონური სულით, პროლეტარული რევოლიუციის სულით. საჭიროა, რომ ხელმძღვანელი როლი კოოპერატივებში გადავიდეს კომუნისტების ან იმ კოოპერატორების ხელში, რომლებიც გამსჭვალული არიან დიდი პროლეტარული რევოლიუციის იდეებით, რომლებიც მზათ არიან იმუშაონ საბჭოთა ხელისუფლებასთან და თანხმა—მთელი თავისი ძალები შესწირონ ამ მუშაობას. კოოპერატივების ავსება ასეთი მუშაკებით არის აუცილებელი პირობა კოოპერატიული მუშაობის წარმატებისათვის.

ნ. მეშჩერიაკოვი.

კომინტერნის მესამე კონგრესი

6 ივლისის საღამოს სხდომა.

პროფკავშირების შესახებ კამათის გაგრძელება.

სხდომა იხსნება ამხ. კოლაროვის თავმჯდომარეობით.

მალცევი. ამხ. ზინოვიევმა თავის მოხსენებაში სავსებით სწორედ აღნიშნა, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალი წარმოადგენს ბურჟუაზიულ წესწყობილების დასაყრდენობს, ამიტომ ბრძოლა ამ ინტერნაციონალთან არ არის მიმართულებათა შორის უბრალო ბრძოლა, არამედ კლასობრივი ბრძოლა ამ ცნების სრული მნიშვნელობით. და ჩვენ ვეთანხმებით იმას, რომ ამ კვანძზე მსოფლიო რევოლიუციის ბედი გადაწყდება. აგრეთვე სწორეთ იყო მის მიერ დასურათებული პროფკავშირებსა და კომუნისტურ პარტიებს შორის ურთიერთობანი. საკითხი პროფკავშირების ნეიტრალიტეტის შესახებ უნდა გადაწყდეს ისე როგორც ეს ამხ. ზინოვიევის მოხსენებაშია გარკვეული.

მაგრამ ყველა ეს როგორ უნდა გატარდეს ცხოვრებაში? მესამე ინტერნაციონალის მეორე კონგრესმა გადასწყვიტა რომ კომუნისტებმა უნდა იმუშაონ პროფკავშირების შიგნით. ყოველივე ცთა რევოლიუციონურ ელემენტების პროფკავშირებიდან ჩამოცილებისა აუცილებლად მიგვიყვანს ჩვენი ბრძოლის დასუსტებამდე. გერმანიის პროფესიონალური მოძრაობა ამ მხრივ წარმოადგენს ნათელ მაგალითს. 1919 წელს გერმანიის გაერთიანებულ პროფკავშირებში ითვლებოდა 3 მილიონი წევრი, რევოლიუციის შემდეგ 1920 წელში, უკვე ითვლებოდა 9 მილიონი წევრი. იმავე დროს, ეგრედწოდებულ თავისუფალ პროფკავშირების გაერთიანებაში ირიცხებოდა სულ 300,000 წევრი. ამ კავშირში უმთავრესად სინდიკალისტური ელემენტებია. როგორია ამ განხეთქილების შედეგები? არ არის ერთიანი ფრონტი, ძალები დაქსაქსულია, და ამსტერდამის ინტერნაციონალი წარმატებით სარგებლობს ამით. თავის ლოზუნგით: შორს პროფკავშირებიდან, გერმანიის კომუნისტურმა მუშათა პარტიამ მხოლოდ ყვითელ პროფკავშირების ბიუროკრატიას ასარგებლა რომელიც ხმარობს ამ ლოზუნგს პროფკავშირებიდან კომუნისტების სისტემატიურ გაძევებისათვის. ვითვალისწინებთ რა იმ დიდ ზიანს, რომელიც მოაქვს გერმანიის კომუნისტურ მუშათა პარტიის სეპარატისტულ ტაქტიკას, მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობის გაერთიანებისათვის გერმანიაში, ჩვენ ვესალმებით კონგრესის დადგენილებას ამ პარტიის შესახებ. რეინის ოლქში, ვესტფალიაში, სადაც ამ პარტიას ზოგიერთ პროფკავშირებში აქვს გავლენა, მან სავსებით ვერ შესძლო ეკონომიური ბრძოლის წარმოება, და მით მისცა პროფკავშირების ბიუროკრატიის ხელში ხელსაყრელი იარაღი კომუნისტებთან საბრძოლველად.

ჩვენ ამ საკითხს უნდა მივუდგეთ მეორე მხრიდანაც. ეხლა გერმანული პროფესიონალური მოძრაობა, უეჭველია, კრიზისს განიცდის. უკანასკნელ დროს პროფკავშირთა რიცხვობრივი შემადგენლობა შემცირდა დაახლოებით ერთი მილიონი კაცით. ეს საკითხი სერიოზულად უნდა ავსწონოთ.

უეჭველია, ეს კრიზისი საშიშოა რევოლიუციონური მოძრაობისათვის და აუცილებლად საჭიროა მისი მიზეზების გამოკვლევა. უმთავრესი იმათთაგანი მდგომარეობს იმაში, რომ ორგანიზაციულად შეკავშირებული მუშათა კლასი მოელოდა რევოლიუციის შემდეგ თავის მდგომარეობის გაუმჯობესებას პროფკავშირების საშუალებით, მაგრამ პროფკავშირები არ აწარმოებდნენ აქტიურ ბრძოლის პოლიტიკას, პროფკავშირების ბიუროკრატია ღალატობდა პროლეტარიატის ყოველივე მოძრაობას და ყოველ რევოლიუციონურ ზომის წინააღმდეგ საბოტაჟს მიმართავდა. კომუნისტების ამოცანას შეადგენს პროფკავშირებში გავლენის მოპოება იმ მიზნით, რომ იქ რევოლიუციონური მოქმედება გააჩაღონ. სრულებით არ არის საჭირო პროფკავშირების ყველა წევრების კომუნისტებათ გადაქცევა, როგორც ამას ფიქრობს გერმანიის კომუნისტური მუშათა პარტია: საკმარისია ხელმძღვანელობის მოპოება იმისათვის რომ პოლიტიკურად შეგნებულ უმცირესობის საშუალებით პროფკავშირებში რევოლიუციონური მოქმედება გააჩაღონ.

იტალიის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელი

აცხადებს, რომ პროფკავშირების საკითხში ის სრულებით იზიარებს დასკვნებს, რომელნიც ამხანაგმა ზინოვიევმა მოხსენებაში გააკეთა აგრეთვე იზიარებს აქ გამოსულ ორატორების აზრს, სახელდობრ: პროფკავშირები კი არ უნდა დაირღვეს, არამედ ისინი დაპყრობილ უნდა იქმნან რევოლიუციონურ მოძრაობისათვის. მუშათა კლასს უნდა ჰყავდეს პროლეტარული არმია, რომელიც მუდამ ჟამს მზად იქნება ბრძოლისათვის. ასეთი არმია პროფკავშირებში არის. საჭიროა მხოლოდ იმის მომზადება შესაფერისი მუშაობით. ორატორი ფიქრობს, რომ პროფკავშირებმა უნდა მიიღონ აქტიური მონაწილეობა პოლიტიკურ ბრძოლაში, მაგრამ ეკონომიურ საკითხებში უნდა ქონდეთ ავტონომია. კონგრესმა უნდა ნათლად გამოარკვიოს პროლეტარიატის პოლიტიკურ და ეკონომიურ ორგანიზაციათა შორის ურთიერთობათა ხაზი. მაგრამ პროფკავშირებმა თავის უმთავრეს მიზნის—პროლეტარიატის დიქტატურის გარდა არ უნდა დაივიწყონ მუშათა კლასის ყოველდღიური ბრძოლა ცხოვრების დროებითი გასაუმჯობესებლათ. ის სთვლის საფაბრიკო საბჭოებს გერმანიაში რევოლიუციონურ ორგანიზაციებათ. გერმანიის მთავრობის რეპრესიებით ეს რევოლიუციონური ორგანიზაციები არარაობამდე მიყვანილი. გერმანიის კომუნისტური პარტიის ამოცანას შეადგენს მათი აღორძინება. იტალიაშიც არის საფაბრიკო საბჭოები, კომუნისტური პარტია ცდილობს მათი და [illegible] დაპყრობას, მაგრამ მთავარი გავლენა მათში აქვთ, საუბედუროთ, ჯერ კიდევ რეფორმისტებს და სოციალისტებს. იტალიის შრომის კონფერენცია აწარმოებს კომუნისტებთან სასტიკ ბრძოლას. მან მიიღო რეზოლიუცია იმის შესახებ, რომ რჩება ამსტერდამის ყვითელ ინტერნაციონალში და ამავე დროს ის გზავნის თავის წარმომადგენლებს საერთაშორისო პროფკავშირთა კონგრესზე მოსკოვში. როცა ისინი აქ მოვლენ, იმათ ნიღაბი უნდა ჩამოვხსნათ და ვაჩვენოთ, რომ ისინი ხელს უწყობენ ფაშისტების მიერ წარმოებულ მკვლელობებს და ძალადობებს. აი დღესაც წავიკითხეთ ჩვენ გაზეთებში ფაშისტების მიერ 15 კომუნისტის მოკვლის შესახებ ცნობა.

რომ მასსები თავის მხარეზე ჰყავდეთ, იტალიის ყვითელ პროფკავშირების ბელადები, ვინაიდან მათ არ ძალუძთ მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესება, აწყობენ კოოპერატივებს, რომელნიც მუშებს აძლევენ საქონელს ცოტათ დაკლებულ ფასებში და ამით ქმნიან მათ მდგომარეობის გაუმჯობესების ილიუზიას. აი როგორ აწარმოებენ ისინი კლასობრივ ბრძოლას. დასასრულ ორატორი მოუწოდებს კონგრესს, რათა მან ნათლად და სწორედ გამოარკვიოს მუშაობის ხაზები მიღებულ გამოცდილების მიხედვით.

ერზალი (ზემო სილეზია). კომუნისტების წინაშე სდგას მძიმე ამოცანა იმ ოლქებში, სადაც პროლეტარიატი თავის ნაციონალურ შემადგენლობით შესულია, როგორც, მაგალითად, ზემო სილეზიაში ან ჩეხო-სლოვაკიაში. აქ განსაკუთრებით საჭიროა პროფკავშირებში შეკრა ერთიან ფრონტის შესაქმნელად. ზემო სილეზიის პროფკავშირების მოძრაობაში იახება იგივე ეტაპები, რომელნიც განიცადა გერმანიის და პოლონეთის მუშათა მოძრაობამ, გერმანიაში პროფკავშირების ბიუროკრატიიდან გამოსული ნოსკე აშკარად ჩადგა ბურჟუაზიულ მთავრობის სათავეში, პოლონეთში კი—პოლონეთის სოციალისტურ პარტიიდან გამოსული პროფკავშირების ბიუროკრატები, რომელნიც ზემო სილეზიაში ამბოხების დროს მხარს უჭერდენ კორფანტის, რომელმაც გამოაცხადა გაფიცვისათვის სიკვდილით დასჯა, ამას გარდა ზემო სილეზიაში არიან აგრეთვე რევოლიუციონური პროფკავშირები, რომელთაც ყავთ 20 ათას კაცამდის და რომელთაც არ უღალატეს უკანასკნელ საშინელ დღეებში რევოლიუციონურ კლასობრივ ტაქტიკას. საჭიროა თუ არა შემდეგში ასეთი ორგანიზაციის არსებობა? გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ეს მხოლოდ ჩვენს ძალებს ქსაქსავს. უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში პროფკავშირებიდან წავიდნენ საუკეთესო ძალები, იმათმა კი რომელნიც დარჩნენ, ვერ შესძლეს პროფკავშირების ბიუროკრატიის ალაგმა. ერთიან ფრონტის უქონლობა განსაკუთრებით საგრძნობელი შეიქნა მაშინ, როცა მუშათა კლასის გამცემლებმა პოლონეთის და გერმანიის პროლეტარიატის შოვინისტურ გრძნობებზე დაიწყეს თამაში. მიუხედავათ ამისა ზოგიერთ მაღაროებში მუშებმა ორი კვირის შემდეგ აღმართეს წითელი დროშა: მუშები მიუხვდნენ რომ მათ ატყუებდნენ ამსტერდამის ინტერნაციონალის წარმომადგენლები სპეციალურად მოვიდნენ სილეზიაში, აჯერებდნენ მუშებს დაეწყოთ მათ მუშაობა და პირდებოდნენ რომ ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა. მხოლოდ პროფკავშირების შიგნით ენერგიული მუშაობით კომუნისტებმა შესძლეს ერთიანი ფრონტის შექმნა, რომელიც მისცემს პროლეტარიატს საბოლოო გამარჯვების შესაძლებლობას.

ხეივუდი („მსოფლიოს ინდუსტრიალური მუშები“).

ამხ. ზინოვიევი თავის მოხსენებაში ამბობდა ტრედიუნიონების რიცხობრივი შემადგენლობის გადიდებაზე, რომელნიც შედიან ამერიკის შრომის ფედერაციაში. მე უნდა ვსთქვა, რომ უკანასკნელ წლებში პირიქით, ფედერაციის რიცხვობრივი შემადგენლობა შემცირდა. საერთოდ, სავსებით შეუძლებელია რაიმე მუშაობის წარმოება ამ ფედერაციის შიგნით, რომელიც გარკვეულად კონტრ-რევოლიუციონურ ხასიათს ატარებს. ფედერაციის უკანასკნელ კონგრესზე დენვერში, გომპერსმა წაიკითხა საბჭოთა რუსეთის შესახებ მოხსენება, სადაც თქვა, რომ მუშები არ უნდა დაეხმარონ საბჭოთა რუსეთსო.

შემდეგ ამხ. ტროცკის მოხსენებაში იყო ლაპარაკი პატარა რევოლიუციონურ ჯგუფების შესახებ, რომელნიც უნდა გაუქმებულ იქმნენ. ამერიკული დელეგაციის წევრებს შორის წითელ პროფკავშირების კონგრესზე არის, ნათლად გარკვეული მიმდინარეობა, რომელიც არის „მსოფლიოს ინდუსტრიალურ მუშების“ სრულ ლიკვიდაციის მოხდენის მომხრე. მშვიდობიანობის სამრეწველო მუშების სალიკვიდაციოთ წარმოებული ცდა სავსებით უშედეგო იქნება. კაპიტალიზმიც თავის პრესის და ძალმომრეობის აპარატის საშუალებით ცდილობდა ჩვენს მოსპობას, მაგრამ ეს მან ვერ შესძლო. ვინაიდან „მსოფლიოს ინდუსტრიალური მუშათა“ ორგანიზაცია არის რევოლიუციონური ორგანიზაცია, და თუმცა მცირე რიცხოვანი, მაგრამ რომელიც წარმოადგენს აუცილებლობის ნაყოფს, აღმოცენებულია ამერიკის მუშათა მოძრაობის პირობებში. ამ ორგანიზაციას აქვს თავის მიზნათ კაპიტალისტურ წესწყობილების დამხობა, ის სდგას რევოლიუციონურ კლასთა ბრძოლის თვალსაზრისზე. იმისი მცირე რიცხოვანება აიხსნება დაუსრულებელი დევნით და რეპრესიებით, რომელთაც აწარმოებდნენ და აწარმოებენ მსოფლიოს ინდუსტრიალურ მუშების წინააღმდეგ 30,000 წევრამდის დაატყვევეს, ბევრი მათგანი მოკლეს. მიუხედავად ამისა ეს კავშირი იღებს მონაწილეობას ყოველ გაფიცვაში და ყოველთვის ეხმარება მუშათა მასსებს.

როდესაც ლაპარაკობენ ამერიკის შრომის ფედერაციის შიგნით მუშაობაზე, უნდა აღინიშნოს, რომ რევოლიუციონური მოქმედების გამომაშკარავებს ეწინააღმდეგება არა მარტო პროფკავშირების ბიუროკრატია, არამედ მთელი რიგი კავშირის წევრების პოლიტიკური გულგრილობაც. აი რატომ, პირველ რიგში, მასსებმა უნდა მიიღონ რევოლიუციონური აღზრდა.

კომუნისტები სცნობენ წარმოებითი ორგანიზაციების აუცილებლობას, რომ რუსეთის რევოლიუცია მოეხდინათ მუშებს, რომელნიც ტეხნიკურ და სამრეწველო მხრივ მომზადებული იყვნენ მეურნეობის მოსაწყობათ, ჩვენ ამჟამად ვერ ვიხილავდით მრეწველობის იმ დამბლას, რომელიც რუსეთში არის. აი რატომ მსოფლიოს ინდუსტრიალური მუშები სცნობენ აუცილებელ საჭიროებათ მუშათა კლასის სამრეწველო მომზადებას, იმისათვის, რომ კაპიტალისტურ წესწყობილების დამხობის ჟამს, მას შეეძლოს ქვეყნის სამრეწველო ცხოვრების ხელმძღვანელობა.

ამხ. ბრანდტი წინადადებას იძლევა საფრანგეთის ან იტალიის სინდიკალისტურ მიმდინარეობის წარმომადგენელმა გამოსთქვას თავის აზრი სიტყვას იღებს ამხ. **ლოზოვსკი**, რომელსაც მოჰყავს ციტატები „სინდიკალურ რევოლიუციონურ საბჭოს ცენტრალურ კომიტეტის დეკლარაციიდან“, საიდანაც სჩანს, რომ პროფკავშირები უნდა იყვნენ დამოუკიდებელნი და ნეიტრალურნი. აი ამაში მდგომარეობს სინდიკალიზმის მთელი ფილოსოფია,—ამბობს ორატორი.—დამოუკიდებლობა ვისგან? და ნეიტრალიტეტი ვის მიმართ?—კითხულობს ამხ. ლოზოვსკი. ალბათ აქ კომუნისტურ იდეის უპირდაპირდება სხვა იდეა, რომელსაც რევოლიუციონური სინდიკალიზმი სთვლის საკმაოდ სოციალურ რევოლიუციის მოსახდენად. მაგრამ უნდა ითქვას შეუძლიათ პროფკავშირებს იმ ბრძო-

ეროვნული საკითხი ჩვენში

სახელმწიფო და იმპერიალიზმი.

V.

რა არის ეს სახელმწიფო?

ესაა ლენინის მკვეთრი გამოთქმით „განსაკუთრებული ძალა განსაზღვრული კლასის დასათრგუნავათ“.

ესაა საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლის საშუალებით კლასებათ დაყოფილი კაცთა საზოგადოება ახერხებს კიდევ განვითარებას.

მაგრამ ეს განვითარება უჯდება მას თავისი შემადგენლობის დიდი უმრავლესობის ტანჯვა-ვაებათ. ამნაირათ ის არის კლასობრივი ბატონობის ორგანიზაცია, მხოლოთ საზოგადო განვითარების სახელით მომქმედი.

ძველი დროის პატრიციები, საშუალო საუკუნეების ფეოდალები, თავად-აზნაურები და თანამედროვე ბურჟუაზია ერთნაირათ იჩემებენ, რომ ისინი იბრძვიან, მოღვაწეობენ, მოქმედებენ და „მუშაობენ“ კიდეც მხოლოთ ხალხის და ერის ინტერესებისათვის, რომ მათ მხოლოთ საზოგადო სახალხო და საერო განვითარების ინტერესები ამოძრავებენ.

ნამდვილათ კი—ახლა ეს ბავშვმაც კი იცის—ისინი ემსახურებიან თავიანთ კლასობრივ ინტერესებს, მათთვის ხალხის და ერის განვითარების სახელი მხოლოთ შირმაა, რომლის საშუალებით სურთ თავიანთი კლასობრივი ინტერესები საზოგადოების დიდ უმრავლესობას თავს მოახვიონ და ამ უმრავლესობის ხელით თავისი საქმეები აკეთონ, «მათი ხელით ნარი იხარონ».

ეს ასეა, მაგრამ, ვიდრე მათი კლასობრივი ინტერესების დაცვა და მათი ბატონობა საზოგადოებაში ნიშნავდა ამ საზოგადოების ისტორიულ განვითარებას, ვიდრე ისინი საზოგადოების წინმსვლელობის პროცესში ასრულებდენ პროგრესიულ როლს, ე. ი. მათი კლასობრივი ინტერესების დაცვა არ ეღობებოდა და ხელს არ უშლიდა საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარებას, პირდაპირ არ ეწინააღმდეგებოდა განვითარებული წარმოების წესებს, მანამ მათ არსებობას და ბრძოლას მართლაც ჰქონდა აზრი და მნიშვნელობა.

ხოლო როცა დგებოდა დრო და ისინი ჰკარგავდენ ამ საზოგადოებრივ პროგრესიულ მნიშვნელობას, ეს გაბატონებული კლასები თავის ბატონობაზე ხელს მაინც არ იღებდენ და კიდევ მეტი სიცხარით განაგრძობდენ: სახელმწიფო თავისი კლასობრივი ბატონობის დაცვის საშუალებათ და იარაღათ გამოეყენებიათ. ამ წუთიდან ისინი ხდებოდენ საზოგადოების საშინელ რეაქციონურ ძალათ და მისი განვითარების საზარელი ჯალათები იყვნენ.

ასე მოხდა საქართველოშიაც. იმ დღიდან, როცა საქართველო მივიდა ფეოდალიზმის განვითარების უმაღლეს წერტილამდე და როცა ის აქ შეჩერდა, როცა მან კაპიტალიზმისაკენ ნაბიჯი თავის თავათ ვეღარ გადადგა, მას ამ დროს გარეშე ძალა თავს დაატყდა, რომელმაც ის წინ გაიტანა მაღალ საფეხურზე ასაყვანათ; აი ამ დროს ყველა, ვინც უნდა ყოფილიყო ის—თავად-აზნაურობა თუ ინტელიგენცია, შეასრულებდა რეაქციონურ როლს, თუ ის ამ გარეშე ძალას შეებრძოლებოდა და მის წინააღმდეგ სახელმწიფოებრივ უფლებას, სახელმწიფოს გამოიყენებდა, თუნდაც ეს „სახელმწიფო დამოუკიდებლობისა და ერის“ სახელით გამოსულიყო.

ამიტომ მთელი ის ეროვნული ბრძოლა, „ეროვნული მოძრაობა“ რომელიც მიმართული იყო ჩვენში ამ გარეშე ძალის, რუსეთის წინააღმდეგ და მოითხოვდა „დამოუკიდებელ სახელმწიფოს“ უნდა ჩაითვალოს რეაქციონურ მოძრაობათ, უნდა დაგმობილ იქნას, როგორც ჩვენი ხალხის განვითარების ხელის შემშლელი ძალა. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლა, რამდენათაც ის ხალხს მხრით არის დაწყებული, უარსაყოფი იყოს და დასაგმობი.

რუსეთის თვითმპყრობელობამ, მისმა ბიუროკრატიულმა რეჟიმმა და რუსულმა სახელმწიფოებრივმა ძალამ შეასრულა ჩვენში თავისი ისტორიული მისია მთელი ერთი საუკუნის განმავლობაში და მეცხრამეტე საუკუნის დასასრულ თვითონ ის გადიქცა საშინელ რეაქციონურ ძალათ და ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების შემფერხებელ მოვლენათ.

მართალია მან ჩაჰკლა ჩვენი თავადაზნაურობის პარტიკულიარიზმი, გააერთიანა საქართველოს ხალხი ვაჭრობა-მრეწველობის ნიადაგზე, და ბოლოს რუსეთის ინიციატივით განთავისუფლა ჩვენი ხალხი საშინელი კლასობრივი მონობისაგან, ბატონ-ყმობისაგან და გზა გაუხსნა მას საწარმოო ძალების განვითარებისაკენ; მაგრამ მალე შეიქნა იმავე რუსეთის თვითმპყრობელური ბიუროკრატიზმი და იმპერიალიზმი თავისი ახლათ აღორძინებული მსხვილი ბურჟუაზიით ჩვენი ქვეყნის, საქართველოს განვითარების ხუნდი; მალე ის გახდა საშინელი ექსპლოატატორი ქართველი ხალხის და ერის როგორც ნივთიერათ ისე კულტურულათ თავისი ცენტრალისტურ ბიუროკრატიული და რუსიფიკატორული პოლიტიკის მეოხებით. საქართველო მართლაც გადიქცა რუსეთის სახელმწიფოს „კოლონიათ“, რომელსაც მეტროპოლია დაუზოგველათ ყვლეფს და მისი საწარმოო ძალების განვითარებაზე სულაც არ ზრუნავს.

ასე მომზადდა ჩვენში ნიადაგი და პირობები როგორც ახალი ეროვნული მოძრაობისთვის, ისე ხალხური რევოლიუციისთვის.

ეს მოხდა მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს, და აი ამ დროიდან იწყება კიდეც ჩვენში დიდი სახალხო მოძრაობა, **მაგრამ არა ეროვნული დროშით, არა დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის ლოზუნგით.**

ეს იყო არა ეროვნული მოძრაობა, არამედ მუშათა მოძრაობა, რომლის მიზანი იყო დაემხო რუსეთის სახელმწიფოს მონარქიულ-ბურჟუაზიული მთავრობა, მქონებელი გაბატონებული კლასების „კომიტეტი“.

მაგრამ ის სულაც არ ფიქრობდა, რომ ამ ნანგრევებზე აეგო „საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფო“, ვინაიდან მან იცოდა ისტორიული ტრადიციით, გამოცდილებით, რომ „**საკუთარი ეროვნული სახელმწიფო**“, ნიშნავს საკუთარი კლასობრივი ბატონების, საკუთარი მტარვალების გაჩენას. კლასი იცავს მხოლოთ კლასობრივ ინტერესებს და ჩვენმა მუშათა კლასმაც თავისი ყურადღება მხოლოთ თავისი კლასის ინტერესებს მიაპყრო და არა „ეროვნულს“.

მაგრამ ამით ჩვენი ერის, ჩვენი ხალხის, როგორც დაჩაგრული ერის ინტერესები სულაც არ დაჩრდილულა, სულაც არ მივიწყებულა. პირიქით ეროვნული ინტერესი—ქართველი ხალხი ამაღლდეს, საზოგადოების უმაღლეს საფეხურზე—დაცულ იქმნა სრულიათ. დაემხო რუსეთის თვითმპყრობელობა, ბიუროკრატიზმი, დაემხო რუსეთის მთავრობა, გაბატონებული კლასის „კომიტეტი“ და ამით განთავისუფლდა ქართველი ერი ეროვნული ექსპლოატაციისაგან, ეროვნული ბატონისაგან, მიუხედავათ იმისა, რომ იგი არ ებრძოდა მას „საკუთარი ეროვნული სახელმწიფოს“ იარაღით: „თოფითა და ხანჯლით“. მაშასადამე აღმოჩნდა, რომ მისი „ეროვნული ინტერესების დაცვისათვის“ სულაც არ იყო საჭირო „საკუთარი ეროვნული სახელმწიფოებრივი ფორმა“.

მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო, საერთო როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაცია, როგორც, „განსაკუთრებული ძალა“ ახლა, დღევანდელ გარდამავალ ხანაში საჭირო არ იყოს. არა, სრულიადაც არა!

სახელმწიფო დღესაც უდიდესი ძალა, საუკეთესო საშუალება და იარაღი მოწინააღმდეგე კლასის დასათრგუნავათ, კლასობრივი ინტერესების დასაცავათ.

იყო დრო როცა სახელმწიფო სხვა და სხვა მოდგმისა და რასის ხალხებს აერთიანებდა, ერთ ერათ ჰქმნიდა, იყო დრო, როცა, იგი მხოლოთ ამ ერთი ერის სახელით გამოდიოდა და ამ ერთი ერის წარმომადგენელთ მფარველობდა, ან იცავდა. იყო დრო, როცა მან გადალახა ერთი ერის ჩარჩოები და სხვა—ერების ძალით დამორჩილებას შეუდგა, თავის ფარგლებში სხვა და სხვა ერები შემოიკრიბა მათზე ერთი მთავარი ერის გაბატონებით და ამნაირათ მებრძოლი ერის ხასიათი მიიღო. მაგრამ რადგან სახელმწიფოს მამოძრავებელი შინაგანი მექანიზმი კლასთა ბრძოლაა, ამიტომ ის ბოლოს და ბოლოს მხოლოთ და მხოლოთ შიშველი კლასობრივი ბრძოლის გამომხატველი უნდა გამხდარიყო და გახდა კიდეც.

და ეს მოხდა იმ დროს, როცა საზოგადოების უმცირესობის გამომხატველმა, გაბატონებულმა კლასმა—ბურჟუაზიამ ქვეყნათ ისტორიული მნიშვნელობა, პროგრესიული როლი დაჰკარგა. როგორ მოხდა ეს?

საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლიუციისა და 48 წლის რევოლიუციების შემდეგ კაპიტალიზმმა მძლავრათ გაშალა ფრთები. მან შეჰქმნა უდიდესი სამრეწველო სახელმწიფოები, ერთ სახელმწიფოებრივ ფარგლებში მოაქცია მრავალი ერი და გააჩაღა მსოფლიო ბაზარი.

მთელი დედამიწის ზურგი გაჰყო სფეროებათ და თვითეული მათგანი მიაჩინა თვითეულ დიდ სახელმწიფოს. ასეთი დიდი კაპიტალისტური სახელმწიფოები არიან, ამერიკის შტატები, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, იაპონია, რომლებმაც თავიანთი გავლენა გაავრცელეს მთელი დედამიწის ზურგზე და ამნაირათ მთელი ქვეყნის დანარჩენი ხალხები და ერები თავის გავლენის ქვეშ დააყენეს, თავისი ექსპლოატაციის საგნათ გახადეს. როგორც სტატისტიკა გვეუბნება: მილიარდის ერთმა მეოთხედმა დაიმონავა მილიარდ ნახევარი მცხოვრები.

აღარ დარჩა დედამიწას არც ერთი [illegible] კუთხე, რომ კაპიტალიზმი არ შეჭრილიყოს შიგ და თავის გავლენის ქვეშ არ დაიყენებოს.

ყველაფერი ეს გამოიხატა განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ ფორმაში და განსაკუთრებულ პოლიტიკაში, შეიქმნა კაპიტალიზმის **ახალი სახე, ახალი უმაღლესი ტიპი, რომელსაც მეცნიერება უწოდებს იმპერიალიზმს.**

ფინანსიურმა ანუ სხვა ნაირათ, საბანკო კაპიტალმა, ამ „უპიროვნო“ არსებამ მთელი დედამიწის ზურგის მოსახლეობა, მთელი კაცობრიობა ორ კატეგორიათ გაჰყო: ერთში მოაქცია ეკონომიურათ და პოლიტიკურათ მჭიდროთ შეკავშირებული „ერთი მუჭა“ ჯგუფი, რომელიც შედგება „რანტიეებისაგან“, ჩვენებურათ მევახშე—ჩარჩ მყვლეფლებისაგან, ხოლო მეორეში თავი მოუყარა ათეულ და ასეულ მილიონიან მასსებს, რომლებიც დაშორებული არიან ერთმეორისაგან როგორც ფიზიკურათ, ისე სულიერათ, როგორც გეოგრაფიულათ და ეკონომიურათ ისე კულტურულათ და სოციალ პოლიტიკურათ.

პარიზელი „რანტიე“ ან ლონდონელი, ოცდაოთხი საათის განმავლობაში გებულობს თავისი კალკუტელი კომმოვაჭრისაგან, თუ როგორ აიწია იქ მის მიერ შეძენილმა აქციებმა და ამ ცნობის თანახმათ აწყობს და ჰკაზმავს თავის «საქეიფო სუფრას»; მაშინ როდესაც ჩინეთის რომელიმე მრავალტანჯულმა «კულიმ» ისიც არ უწყის: არსებობს ქვეყნათ სხვა ბატონი იმაზე უფრო ძლიერი, როგორიც არის მისი „ცის ქვეშეთის მფლობელი“ ბოგდიხანი, თუ არა.

ამნაირათ ტანჯულ კაცობრიობას კაპიტალიზმმა ხსნის და შველის იმედი თითქოს ძირშივე ჩაუკლა, თითქოს მან ადამიანის ბედნიერებისაკენ წინ ლტოლვას გზა გადაუჭრა და ეუბნება: ტყუილა ოცნებობ ბედნიერებას, შენ ჩემს კლანჭებში უნდა დალიო სული!

ისტორიამ კი, მისმა მართლმსაჯულმა ნემეზიდამ სხვანაირათ განსაჯა და თვით კაპიტალიზმს სასტიკი და საშინელი განაჩენი წაუკითხა: შენ თვითონ შენივე ხელით უნდა გამოიჭრა ყელიო!

და მართლაც კაპიტალიზმი თავისივე არსებაში ატარებს ისეთ შხამს, ისეთ საწამლავს, რომელიც ისტორიულ მსვლელობაში თან და თან ძლიერდება, იზრდება და ბოლოს სრულიათ ახრჩობს, სპობს თვით თავის მატარებელს, კაპიტალიზმს. ეს შხამი, ეს საწამლავი არის თვით მისი „იმპერიალისტური“ ბუნება, მისი ბუნებრივი მიდრეკილება, ისტორიული ტენდენცია „დაგროვებისადმი“.

როგორც თოვლიან მთის მწვერვალიდან დაგორებული თოვლის გუნდა თანდათან იზრდება, დიდდება, სისქეს მატულობს და არც შეიძლება არ იმატოს, ბოლოს უზარმაზარ თოვლის მთათ ხდება, რომელიც თავისივე სიმძიმეს ვერ უძლებს და სქდება, იშლება და თოვლის ფიფქათ ხდება ხოლმე, ჰაერში იფანტება, სწორეთ ასევე ემართება კაპიტალს. ის გაჩენის დღიდან იწყებს დაგროვებას, ზრდას, მატებას, და არც შეუძლია არ იზარდოს, არ „დაგროვდეს“, და ბოლოს იმდენათ „გროვდება“, რომ „ზედმეტათ დაგროვებულის“ სიმძიმით, ე. ი. „მოუხმარებლობის“ გამო, ადგილიდან ველარ იძვრის, მის მიერ გამოწვეულ და ამხედრებულ ძალების შემოტევას ველარ უძლებს და მთელი თავისი ბუმბერაზული სხეულით გრგვინვით და გრუხუნით ძირს უსულოთ ეცემა!

ვინ არიან ეს მის მიერვე გამოწვეული და ამხედრებული ძალები, რომელთა წინააღმდეგ მას ვერაფერი გაუწყვია?!

ეს არის 1) კაპიტალისტური სახელმწიფოების მებრძოლი მსოფლიო პროლეტარიატი, ეს არის 2) იმავე კაპიტალისტური ქვეყნების წვრილი მწარმოებლები და გლეხკაცობა, ეს არის 3) ნახევრათ კაპიტალისტური ქვეყნების ერები, და ეს არის 4) არა კაპიტალისტური უკულტურო კუთხეების ხალხები.

ოთხივე მხრიდან უტევენ მას და თავს ესხმიან. უტევენ მას შინ მისივე მუშები, უტევენ მას გარედან ერები და ხალხები; და ამ სახით გაჩაღებულია მის წინააღმდეგ მსოფლიოში შინაური და გარეშე ბრძოლა, სამოქალაქო და საერთაშორისო ომი! ეს არის მსოფლიო რევოლიუცია მსოფლიო **იმპერიალიზმის** წინააღმდეგ ამტყდარი!

რა არის ეს იმპერიალიზმი?

„იმპერიალიზმი არის ისტორიული მეთოდი—სწერს თავის მეტათ შესანიშნავ და საყურადღებო წიგნში სახელ განთქმული, მსოფლიო რევოლიუციის წინამძღოლი ქალი, მეოცე საუკუნის დიდი მოაზროვნე კომუნისტი ნეტარხსენებული ლიუქსემბურგი,—რომლითაც კაპიტალი თავის არსებობას განაგრძობს, მაგრამ იგივე იმპერიალიზმი არის ნამდვილი, უტყუარი საშუალება იმისი, რომ მან კაპიტალი წაიყვანოს რაც შეიძლება მოკლე გზით მიზნისაკენ და ამ ნაირათ მის არსებობას ობიექტიური საზღვარი დაუდვას. აქედან, რა თქმა უნდა, არ ითქმის, რომ ამ საზღვარს მან უთუოთ უნდა მიაღწიოს. თვით კაპიტალისტური განვითარების ტენდენცია ამ საბოლოვო მიზნისაკენ ისეთ ფორმებში იხატება, რომლებიც მის, კაპიტალიზმის უკანასკნელ დამაბოლოებელ ფაზას კატასტროფების ხანათ ხდიან“. იწყება მომენტი, როცა კაცობრიობის წინაშე დგება დილემმა:

კულტურის დაღუპვა თუ კომუნიზმი? (იხ. ჟურნ. „Красная новь“ № 1, 1921 წ. ივნისი გვ. 97).

ან უნდა დაიღუპოს კაცობრიული „კულტურა“ და ჩადგეს კაცთა საზოგადოება ისევ „უკულტურო“ ყოფაში ანდა უნდა დაიღუპოს კაპიტალიზმი და საზოგადოება გადავიდეს სოციალიზმში, აი როგორ დგას კითხვა. **ან კაცობრიული „კულტურის“ დაღუპვა, ან კაპიტალიზმის.**

ცხადია, რომ მთელი ისტორიული ბრძოლა, მსოფლიო რევოლიუცია მთელი თავისი ძალებით მიმართულია კაპიტალიზმის წინააღმდეგ და ისტორიისაგან განწირულია სწორეთ კაპიტალიზმი და არა „კულტურა“.

მაგრამ რა არის ეს «კულტურა», რომ რევოლიუცია, რომელმაც ყველაფერი და ყოველივე უნდა გარდაქმნას, პროლეტარულ ქურაში უნდა გაატაროს, მას თითქო სრულიადაც არ ეხება?

(გაგრძელება იქნება).

რ. ქ.

---

*) იხ. „კომუნისტი“ №№ 161 163, 165, 168, 170.

ლაში, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ, ინგლისში, გერმანიაში და საფრანგეთში, დარჩნენ სავსებით დამოუკიდებელნი. ფაქტები ამბობენ, რომ წმინდა, ამიენის ხარტია საკმაოდ მოძველდა და დადგა დრო, რომ ის შეიცვალოს ახალით, რომელიც ცხოვრების პირობებს შეეფერება მართლაც, თუ ჩვენ დაუშვებთ პროფესიონალურ მოძრაობის დამოუკიდებლობას და ავტონომიას, ჩვენ ამით შევქნით ორ პარალელურ მოძრაობას, რომელნიც მიისწრაფიან ერთსა და იმავე მიზნისაკენ. შესაძლებელია თუ არა ორი ორგანიზაციის არსებობა, რომელნიც თანაბრათ კომუნიზმით იქნებიან გამსჭვალულნი და ერთი მეორესაგან დამოუკიდებელნი? და თუ ისინი არსებობენ, უნდა გაიდვას მათ შორის ხიდი თუ არა? ავტონომიის და დამოუკიდებლობის ცნობა აუცილებლად მიგვიყვანს იქამდის, რომ ისინი, რომელნიც ამ ჟამათ ამიენის ხარტიას ესხრობიან, მომავალში შეიქნებიან ჩვენი მოწინააღმდეგენი და რეფორმისტებთან ერთად იმოქმედებენ. საკვირველია, რევოლიუციონური სინდიკალისტები, რომ ვერ ამჩნევენ ამ საშინელ წინააღმდეგობას. ვერ ამჩნევენ, რომ მუშათა კლასის მტრები, შეთანხმებულნი და რეფორმისტები, ახრჩობენ მუშათა მოძრაობას წმინდა ამიენის ხარტიის იმავე ლოზუნგით, რომლის დროშის ქვეშ ისინი მიდიან.

უეჭველად შეუძლებელი და დაუშვებელი, რომ პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის შორის გიგანტურ შეტაკების დროს კომუნისტები და სინდიკალისტები მიდიოდნენ სხვადასხვა გზით. ისინი უნდა მიდიოდნენ ერთად, ან ერთი მეორის წინააღმდეგ. სხვა გზა არ არსებობს. ეს არის ალტერნატივა, და თქვენ დარწმუნდებით ამაში პრაქტიკულად თქვენს ქვეყანაში.

თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ ისპანიაში მძვინვარებს თეთრი ტერორი. მთავრობის ბრძანებით ყოველ დღე ვერაგულად მუშებს წუთისოფელს უსპობენ.

და ბოლოს, ამსტერდამის ინტერნაციონალმაც მიაქცია ყურადღება ასეთ სიმხეცეს. რას შვრება იგი? ის მიმართავს ისპანიის მთავრობას წერილით, რომელშიაც გაზვიადებული ზრდილობით აგონებს მას ვერსალის ხელშეკრულების რამოდენიმე პუნქტებს, რომელთაც უნდა უზრუნველყონ მუშათა მოძრაობის განვითარების თავისუფლება; აღნიშნავს რა, რომ ისპანიის მთავრობის წარმომადგენელი მონაწილეობას იღებდა მუშათა კანონმდებლობის კომისიაში, და ამიტომ არ არის თავაზიანობა მისი მხრით თავის მუშებისადმი ასეთი მოპყრობა აი როგორი მეგობრული კილოთი ესაუბრებიან ამსტერდამის ბელადები ყაჩაღთა მთავრობას, იმავე დროს ისინი წინადადებას აძლევენ მუშებს არ მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკასა და თეორიულ დისკურსიებში და დაკმაყოფილდნენ მხოლოდ ეკონომიურ საკითხებით. ამერიკის მუშათა ფედერაცია, გომპერსის პირით, სთვლის ამსტერდამის ინტერნაციონალს ერთობ რევოლიუციონურად იმის გამო, რომ ლაპარაკობს სოციალიზმზე და ეპლეტონის გადაყენებაზე. ამსტერდამის ინტერნაციონალი თავს იმართლებს და ამბობს, რომ ის დამნაშავე არ არის ეპლეტონის გადაყენებაში, ვინაიდან 8 მილიონმა ინგლისის მუშებმა განაცხადეს, რომ არ სურთ მის გვერდში ჯდომა. აი იქვენ დამოუკიდებლობის მაგალითი.

ამიენის პარტია გამოიცა 1906 წ., და მერე რა?

წაიკითხეთ „ხალხის ხმა", რომელსაც სცემს შრომის საერთო კონფედერაცია.

წაიკითხეთ იტალიის კონფერენციის მთელი ლიტერატურა, დაწყებული 1906 წლ., და თქვენ დარწმუნდებით იმაში, რომ ის არასდროს არ ყოფილა ნეიტრალური, რომ ნეიტრალიზმი არის აბსურდი, რომ ნეიტრალიზმი ნამდვილად არ არსებობს. ნეიტრალიზმის ლოზუნგის მთელი შინაარსი, ბოლოს და ბოლოს, მიმართულია კომუნიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. გერმანიის კომუნისტური მუშათა პარტია თავის საყვარელ ლოზუნგად სთვლის კავშირების დანგრევას.

მაგრამ ეს ლოზუნგი მავნებელია. იმისთვის რომ ტაძარი ხელში ჩაიგდო, არ უნდა გადაასხა მას ნავთი და დასწვა, არამედ უნდა დაეუფლო მას. მხოლოდ პროფკავშირებში გავლენის მოპოებით ჩვენ წავიყვანთ მათ სოციალურ რევოლიუციისაკენ.

მარშალი, ამერიკული დელეგაციის სახელით, უპასუხებს ამხ. ხეივუდს.

—ამერიკული პარტია 26 წლ. განმავლობაში აგრეთვე იდგა იმ თვალსაზრისზე, რომ სავსებით შეუძლებელია მათში მუშაობა, მათი გარდაქმნა და გარევოლიუციონერება. მაგრამ მეორე კონგრესის შემდეგ ის დარწმუნდა, რომ სხვა გზა, გარდა მუშებთან ერთად მუშაობისა, არ არის, რომ 26 წლ. პროფკავშირების გარეშე მუშაობამ გამოიღეს უარყოფითი შედეგები: შეიქმნენ პატარა, უსუსური ჯგუფები, და აქტიურ ელემენტებს ტრედ-იუნიონებიდან სდევნიდენ. გომპერსის და სამრეწველო მუშების დევიზების განსაცვიფრებელმა მსგავსებამ საბოლოოდ გაგვიხილა ჩვენ თვალები და გადავჭრით შევცვალეთ ტაქტიკა პროფკავშირების მიმართ. გომპერსსაც და სამრეწველო მუშებსაც უნდათ, ერთი და იგივე: რომ რევოლიუციონერები პროფკავშირების შემადგენლობიდან გამოვიდნენ, ე. ი. ორივეს აქვს ერთი და იგივე რეაქციონური მიზანი.

სრულებით შეუსაბამოა ამხ. ხეივუდის შეხედულება რუსეთის რევოლიუციაზე. ის ამბობს, რომ, თუ რუსეთის მუშები მიიღებდენ ისეთსავე სამრეწველო და ტეხნიკურ აღზრდას როგორიც აქვთ მშვიდობიანობის სამრეწველო მუშებს, ისინი განახორციელებდნენ მას უფრო წარჩინებით, და ჩვენ არ ვიქნებოდით რუსეთში სამრეწველო კრიზისის მოწმენი. მაგრამ არა ფორმა, არამედ სული, რევოლიუციონური იდეა, რომლის შთამაგონებელი იყო კომუნისტური პარტია, იყო რევოლიუციის ძირითადი მამოძრავებელი ძალა. ფორმა კი არ განსაზღვრავს რევოლიუციას, პირიქით, რუსეთში რევოლიუცია ჩამოყალიბდა საბჭოთა სისტემის ფორმაში. თუ ვილაპარაკებთ მშვიდობიანობის სამრეწველო მუშების სულზე, ის გამოიხატა, მაგალითად, ერთის სტატიაში, რომელიც მოთავსებული იყო მათ ორგანოში და სადაც ნათქვამი იყო, რომ რუსეთში არ არსებობს მუშათა რესპუბლიკა, ვინაიდან მუშებს აკრძალული აქვთ ადგილიდან ადგილზე გადასვლა სამუშაოს მოსაძებნად.

ამხ. ხეივუდი პროტესტს აცხადებს „მსოფლიოს ინდუსტრიალურ მუშების" ლიკვიდაციის შესაძლებლობის წინააღმდეგ და მიუთითებს მათ გავლენის მნიშვნელობაზე, წინააღმდეგ ამერიკის შრომის კონფედერაციისა, რომლის რაოდენობა ვითომ ყოველ წელს მცირდება. ფაქტები წინააღმდეგს ლაპარაკობენ. ამერიკის ფედერაციაში 1918 წელს ითვლებოდა 2,700,000 წევრი, 1919 წ.—3,300,000 წ. 1920 წელს—4,578,000 წევრი, 1921 წ.—3,800,000 წევრი. „მსოფლიოს ინდუსტრიალური მუშების" რიცხვი კი 16 წლის არსებობის შემდეგ, არ აღემატებოდა 25,000.

მრავალ წლის გამოცდილებამ დაგვანახა რომ პროფკავშირების გარეშე მუშაობა სავსებით უსარგებლოა და მხოლოდ რევოლიუციონური ძალების დამქსაქსველი. მასებთან ყოველ დღიური დაკავშირებით, სასქმოებში და პროფკავშირებში უშუალო მუშაობით შესაძლებელია პროფკავშირების ბიუროკრატიის დამლევა, ტრედიუნიონების რევოლიუციის მძლავრ იარაღად გარდაქმნა.

ამხ. მარშალის სიტყვის შემდეგ თავმჯდომარე ამხ. ჯენარი სხდომას დახურულად აცხადებს.

საბჭოთა რუსეთი ეხმარება საქართველოს მრეწველობის აღორძინებაში

ოქტომბრის 20 რიცხვში თფილისში მოელიან მასკოვიდან მატარებელს 25 ვაგონის შემადგენლობით, რომლებიც დატვირთული იქნება მანქანებით და საქსოვი ფაბრიკის სხვა და სხვა მოწყობილობით. ფაბრიკა დღე და ღამეში დაამუშავებს 50 ფუთ ნართს და 2 ნახევრიდან 3 ათას არშინამდი მაუდს. მანქანების მოწყობილებანი მოსკოვმა გამოგზავნა უფასოდ

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

რევოლიუციის 4 წლის თავი.

მოსკოვი. 2 ოქტომბერი. (რადიო). საჭიროა წინასწარი მუშაობის დაწყება რევოლიუციის 4 წლის თავისათვის მიძღვნილ სპეციალურ ნომრებისათვის მასალების შესაკრებად, საჭიროა 4 წლის თავი დაკავშირებულ იქნას ახალი ეკონომიურ პოლიტიკასთან და საბჭოთა ხელისუფლების ბრძოლასთან სამეურნეო ფრონტზე.

უფასო სკოლა.

მოსკოვი. 3 ოქტომბერი. (რადიო). განათლების სახალხო კომისარიატმა შეატყობინა ყველა მშრომელთ, რომ რესპუბლიკის სკოლებში სწავლის ფულის შემოღება განხილული იქნება, როგორც კანონით აკრძალული ბოროტმოქმედება, ამასთან დამნაშავენი სასტიკ პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი. უფასო სკოლის შესახებ ამხ. ლუნაჩარსკი „უწყებებში" სწერს: სხვა და სხვა საბაბით და სახით სკოლებში სწავლის ფასის შემოღება—უდიდესი უმსგავსოებაა, უდიდესი უკანონობაა. მართალია, სახელმწიფოს არ შეუძლია შენახვა იმ რესურსებით, რომელიც ცენტრალურ ხელისუფლებას გააჩნია. მოგვიხდება ადგილობრივი გადასახადს მივმართოთ. სოფლებში მას ექნება ნატურალური ხასიათი და არავითარ ეჭვს არ გამოიწვევს. ქალაქებში მოგვიხდება პირობითი გადასახადის შემოღება; მაგრამ ჩვენ გადაჭრით უარვყოფთ ამა თუ იმ სკოლის მოწაფეთა მშობლების დაბეგვრას ამ სკოლის საჭიროებათათვის. ჩვენ შემოვიღებთ სარაიონო—სამეურნეო საბჭოებს, რომელნიც, საბჭოთა ადგილობრივი ხელისუფლების კონტროლ ქვეშ, დაბეგვრას აწარმოებენ. სკოლა უფასო რჩება, და ღარიბი ოჯახი, რომელსაც ყავს 6 ბავშვი, გაგზავნის მათ სკოლაში და არაფერი გადახდება. მაგრამ ძველი „ხოლოსტიაკი", რომელიც სკოლისადმი არავითარ ინტერესს არ იჩენს, ხოლო დიდი მოგებით ვაჭრობს თეთრი „ბულკებით" და „პიროჟკებით" აღმოჩნდება საგრძნობლად დაბეგრილი.

საბჭოთა რუსეთი და პოლონეთი

პოლონეთის ახალი მთავრობის განცხადება.

ვარშავა. 30 სექტ. (რადიო). მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ პონიაკოვსკიმ სეიმში დეკლარაცია წაიკითხა, რომელშიაც ხაზი გაუსვა პოლონეთის მშვიდობიანობის მოყვარულ განზრახვებს. პონიაკოვსკის სიტყვებით, კავშირი დასავლეთის სახელმწიფოებთან, კერძოდ საფრანგეთთან, ხელს უწყობს მშვიდობიანობას. ამავე მიზანს ემსახურებიან პოლონეთის და რუმინეთის მთავრობები. შეეხო რა საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულებას, პონიაკოვსკიმ განაცხადა: „ჩვენ მტკიცედ ვიდგომებით ხელშეკრულობის ლოიალურ ასრულების ნიადაგზე. სამწუხაროდ, ბოლო დროს დამოკიდებულება საბჭოთა რუსეთთან არ იყო კეთილგანწყობილი, იმის გამო, რომ საბჭოთა მთავრობამ უარი თქვა თავის ვალდებულებათა ასრულებაზე და თავის მხრივ ბრალს სდებდა პოლონეთის ანტისაბჭოთა ფიქტიურ ორგანიზაციებთან კავშირში. მე იმედი მაქვს რომ, ამ ბრალდებათა უსაფუძვლობის გამო, საბჭოთა მთავრობა შეუდგება ხელშეკრულობის დროგასულ ვალდებულებათა ასრულებას".

კაპიტალიზმის სამეფოებში

საბერძნეთ-ოსმალეთის ომი.

ბათომი, 2 ოქტომბერი, (დეპ.) ოფიციალური ცნობა. ანგორა 29 სექტემბერი. ჩვენი ჯარის მარცხენა ფრთის შეტევის გამო მოწინააღმდეგე იძულებული იყო ესკი—შეხირის პოზიციაზე უკან დაეხია. მტრის კონტრ-შეტევა კარა-გისარის რაიონში მოგერიებულ იქნა მისთვის დიდი დანაკლისით.

სტამბოლი, 1 ოქტ. (რადიო). ოსმალეთის წყაროებიდან იტყობინებიან, რომ დიდი ბრძოლები ესკი—შეხირის რაიონში გათავდა ოსმალეთის ჯარების სასარგებლოდ. ქემალისტებმა ქალაქი დაიკავეს.

საფრანგეთი

პასუხისათვის.

მოსკოვი, 3 ოქტ. (რადიო). საფრანგეთის პარლამენტის კომფრაქციის წარმომადგენელმა მარსელ კოშენმა ოფიციალურ მოთხოვნით მიმართა პრემიერ მინისტრს ბრიანს, გამოაქვეყნოს პოლონეთისადმი 6 სექტემბერს გაგზავნილ ნოტის შინაარსი. ამაზე უარის თქმის შემთხვევაში კაშენი პარლამენტში შეიტანს შეკითხვას დიპლომატიურ ურთიერთობაზე საფრანგეთსა და პოლონეთს შორის და იმ პოზიციის შესახებ, რომელიც უკავია საფრანგეთს საბჭოთა რუსეთის მიმართ.

გაფიცვა საფრანგეთში.

ბერლინი, 30 სექტ. (რადიო). ჩრდილო საფრანგეთში გრძელდება ფეიქართა, მშენებელთა და მელითონეთა გაფიცვა. ლილში გაფიცულია 3,000 ფეიქარი.

რუმინეთი

რუმინეთის პოლიტიკა.

მოსკოვი, 3 ოქტ. (რადიო). რუმინეთის პრესა ამტკიცებს, რომ საზღვარ-გარედ მყოფი ტაკე იონესკუ ყოველ ღონეს ხმარობს, რათა პოლონეთ-რუსეთის კონფლიქტი გაამწვავოს. ტაკე იონესკუს სურს ხელი შეუშალოს რუმინეთის რწმუნებულის შეხვედრას ჩვენს წარმომადგენელ კარახანთან ვარშავაში.

ინგლისი

„ევროპის გაჯანსაღება"

მოსკოვი, 2 ოქტ. (რადიო). 11 ოქტომბერს ლონდონში გაიხსნება საერთაშორისო კონფერენცია ევროპის ეკონომიურად გასაჯანსაღებლად. კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, იაპონია, ჰოლანდია, შვეცია, გერმანია, უნგრეთი და ავსტრია.

საბჭოთა საქართველო დამშეულთა დასახმარებლად

ძმური ხელი

ჰო, მეგობარო! რომ იცი მღერა—
სიმშილს განიცდის დღეს ვოლგის მხარე,
შველას მოელის დამშეულთ კრება,
უშველე რითმე და დაეხმარე!..
ლხინში მყოფ მოძმევ! ვალია შენი
ჭირში მყოფ მოძმეს, რომ დაეხმარო,
რომ მოიგონო მშიერ-ტიტველნი
ულუკმა-პურო და უსახლკარო,—
რომელთა გულში ცეცხლისა ალი
ჯერ არ ჩამქრალა, ჯერ კიდევ ღვივის,
და მომავალის მძლე ნაპერწკალი
იმედის სხივით, კვლავ გამოსჭვივის...
თუ კლდე, უღრანი მათთან გვვლია,
გვიკაფავს ბრძოლით გზა შორს სავალი,
ცეცხლის წვიმები გამოგვივლია—
საკაცობრიო გვანთებდა ვალი,—
მაშინ არ ძალგვიძს არ მოვიგონოთ
ჩვენივე მოძმე დღეს დამშეული,
იმ დროში მაინც, როცა ულონოთ
ბუნებისაგან არის ძლეული!..
ლხინში მყოფ მოძმევ! ვალია შენი
ჭირში მყოფ მოძმეს, რომ დაეხმარო,
რომ მოიგონო მშიერ-ტიტველნი,
ულუკმაპურო და უსახლკარო!..

იონა ვაკელი.

დამშეულთა სასარგებლოთ

ფეიქართა და მკერავთა პროფკავშირის წევრების გაერთიანებულ ყრილობის მიერ შეგროვილ იქმნა 300.000 მანეთი დამშეულთა სასარგებლოთ.

—

მცხეთა

ადგილობრივ შედგა ვოლგის ნაპირის დამშეულთა დამხმარე კომისია სამი პარტიული ამხანაგისაგან.

კომისიამ მობილიზაცია გაუკეთა ხუთ ამხანაგებს, მათში სამი ქალია, რაიონში დახმარების გასაწევათ და თავისი შემადგენლობა გაჰყო ორ ნაწილათ, ერთი ნაწილი გაემგზავრა რაიონში მიტინგების და კრებების მოსაწყობათ. ხოლო მეორე ნაწილს დაევალა მცხეთაში მოწყობა მიტინგის და წარმოდგენის დამშეულთა სასარგებლოთ.

მუშაობამ კარგი ნაყოფი გამოიღო. რაიონში გლეხები ძალიან გულ-მოდგინეთ ისმენდენ მისულ ამხანაგების სიტყვებს და იქვე ირჩევდენ კომისიას დახმარების ასაკრეფად.

არც ერთი სოფელი არ დარჩენილა, რომ არ შეეტანოს თავისი წვლილი დამშეულთა ფონდში.

მცხეთაში დადგმულ წარმოდგენიდან დამშეულთა სასარგებლოთ კვირას 11 სექტემბერს შემოვიდა წმინდა შემოსავალი 386000 მანეთი.

მცხეთელი.

სოფელი მარანი

4 სექტემბერს [illegible] მიერ იყო მოწვეული კრებაზე მარნის თემის მცხოვრებნი, კრება გახსნა 12 საათზე. თავმჯდომარედ აირჩიეს ამხ. სერგო თურქია და მდივნად ამხ. ლ. გოთოშია, დღის წეს-რიგში იყო: 1) საერთაშორისო მდგომარეობა, 2) რუსეთის დამშეულ ამხანაგების დახმარება. საერთაშორისო მდგომარეობაზე ილაპარაკა ამხ. ლ. თელიამ იყო შეკითხვები. კრება კმაყოფილი დარჩა. ვოლგის მხარის მოუსავლობის მიზეზი მკაფიოდ გააცნო კრებას ამხანაგმა კაკაბაძემ. კრებამ ერთხმათ დაადგინა: მიუხედავად იმისა, რომ თითონაც წელს გვალვისაგან დაზარალდნენ, ძმური ხელი გაუწოდონ ვოლგის დამშეულ ამხანაგებს და შეძლების დაგვარად დაეხმარონ. კრებამ აირჩია დახმარების ამკრეფი კომისია შემდეგ პირებისაგან: 1) ი. ტულუში, ჰ. ახობაძე, ვ. გოგიშვილი, პ. გიგინეიშვილი, ბ. გოგიშვილი, ა. დუნდუა, ა. ფალავა, პ. დუნდუა, დ. ჩხიკვიშვილი, ლ. თელია, ო. სტურუა, ა. გოგიშვილი, რომლებიც შეუდგნენ 5 სექტემბერს და 6 ს დაამთავრეს აკრება. და აკრეფილი ფული და სურსათი გადასცეს ადგილობრივ რევკომს.

საჭილაგელი,

ქრონიკა

◆ **საქართველოს საზოგადო სამხატვრო გამოფენა.** საქართველოს ს. რესპუბლიკის პოლიტიკურ განათლების მთავარი მმართველობა ოქტომბრის რევოლიუციის წლის თავზე (7 ნოემბერი) აწყობს საქართველოს საზოგადო სამხატვრო გამოფენას. გამოფენაში მონაწილეობას მიიღებენ ყველა მხატვრები. საუკეთესო სურათებს და ქანდაკების ნაწარმოებებს შეიძენს სახალხო განათლების კომისარიატი, ოქტომბრის რევოლიუციის მხატვრულ მუზეუმის დასაარსებლათ.

ცნობების მიღება შეიძლება პოლიტიკურ განათლების მთავ. მმართველობის განყოფილება—„იზაში" (ლორის მელიქოვის ქუჩა № 5). გამოფენის მდივანთან მხატვარ ზდანევიჩთან 12-დან 1 საათამდე.

◆ **წითელ ლაშქრელთა უფლებები.** სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატმა აცნობა შინაგან საქმეთა კომისარიატს საქართველოს წითელი ლაშქრის სარდლის მოხსენების შესახებ, რომელიც მიუთითებს მაზე, რომ ადგილობრივი რევკომები და ადმინისტრაცია არღვევს საქართველოს რევკომის დეკრეტს № 41. ეს დეკრეტი აძლევს წითელ ლაშქრელებს და მათ ოჯახებს უპირატესობას სხვა და სხვა ბეგარის [illegible], ბინის, რეკვიზიციის და კონფისკაციის შესახებ. სამხედრო და საზღვაო კომისარიატი სთხოვს შინაგან საქმეთა კომისარიატს მისცეს წინადადება ყველა რევკომებს, რათა ეს დეკრეტი ზედმიწევნით შესრულებულ იქმნას შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა დაუგზავნა ყველა სამაზრო ქალაქის რაიონის და თემის რევკომებს ცირკულიარული ბრძანება, რათა სასტიკათ შეასრულონ დეკრეტი № 41 და დაუყონებლივ აღუდგინონ წითელ ლაშქრელებს და მათ ოჯახებს უფლებები, რომლის დარღვევის შემთხვევები იყო წინათ დაშვებული. ამ ბრძანების აუსრულებლობაში პასუხისმგებელი იქნებიან რევკომების თავმჯდომარეები.

— **შეუსრულებელი ანკეტა.** შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა დეპეშით მიმართა ყველა სამაზრო და ქალაქის რევკომებს ერთი კვირის ვადაში წარმოადგინონ ცნობები რევკომის პირადი შემადგენლობის შესახებ. ეს ცნობები იყო რევკომიდან მოთხოვნილი აგვისტოში, მაგრამ გარდა ფოთის რევკომისა, ჯერ არავის წარმოუდგენია.

— **გადადებული ყრილობები.** შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განკარგულებით სამაზრო და ქალაქის რევკომების შინაგან მმართველობის გამგეების ყრილობა, რომელიც იყო მოწვეული 30 სექტემბ. გადაიდო 30 ოქტომბრისათვის, რევკომების თავმჯდომარეების ყრილობა, რომელიც მოწვეული 10 ოქტომბრისათვის გადადევს 25 ნოემბრისათვის.

— **შინაგან საქმეთა კომისრის შვებულებაში წასვლა.** შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ბ. კვირკველიას ორი კვირის შვებულებაში წასვლის გამო მის თანამდებობას ასრულებას შეუდგა მისი მოადგილე ნ. სოკოლოვსკი.

— **შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში.** შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრებათ დანიშნულია ამხ. კუხალეიშვილი და ამხ. ელერდაშვილი.

— **დახმარება პირებს, რომლებმაც დროებით დაჰკარგეს შრომის უნარი.** ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველო აცხადებს: 1) იმ მოსამსახურეებს და ხელოსან-მუშებს, რომლებიც ირიცხებიან ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამსახურში და რომლებმაც დაჰკარგეს დროებით შრომის უნარი, უფლება აქვთ მიიღონ სრული ხელფასი იმ დრომდე, ვიდრე საექიმო საკონტროლო კომისია არ სცნობს მათ საქმისათვის ვარგისათ და უვარგისად; 3) დახმარების აღსარიცხავად საჭიროა აღებულ იქნეს საშუალო ხელფასი, რომელიც არსებობდა ორი თვის პერიოდში ავად გახდომის წინ იმ გამოანგარიშებით, რომ ამ დახმარების რაოდენობა არ აღემატებოდეს ორჯერ გამრავლებულ მაქსიმალურ სატარიფო ნორმას ამ ადგილზე.

◆ **საქონლის შესყიდვა.** ახლო დღეებში ბორჩალოში გაემგზავრება მიწად-მოქმედების სახალხო სპეციალური კომისია საქონლის შესასყიდლად, მიწად-მოქმედების სახ. კომის. ფერმის შესავსებლად. საქონლის პირველ პარტიის შესასყიდლად გადადებულია 136 მილიონი მანეთი.

◆ **მოსავალი ბორჩალოს მაზრაში.** თესვის ცენტრალურ კომისიის ცნობით პურის მოსავალი ნაკლებია; საერთოთ გამოანგარიშებულია, რომ მთელ მაზრაში დესეტინაზე უნდა ჩაითვალოს 30 ფუთი, რაც შეადგენს 50 პროც. ნაკლებს ვიდრე ნორმალური მოსავალი.

◆ **შტატების შემცირება.** მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატში შეუდგნენ მოსამზადებელ მუშაობას მოსამსახურეთა პირად შემადგენლობის შტატების შესამცირებლად. მიწის პოლიტიკის განყოფილება განზრახულია შემცირდეს ნახევრად.

სახელმწიფო გამომცემლობაში. სახელმწიფო გამომცემლობამ დაუგზავნა სახალხო კომისრებს ც. პ. ც. კ. და სხვა მსხვილ დაწესებულებებს ცირკულიარული, რომლითაც სთხოვს მათ თავის დროზე წარმოადგინონ მასალები, რომელიც განზრახულია გამოიცეს ოქტომბრის დღესასწაულებისათვის. სასურველია, რომ ყველა მასალა დღესასწაულთან დაკავშირებული გადაეცეს სახელმწიფო გამომცემლობას არა უგვიანეს 10 ოქტომბრისა. ამ ვადის შემდეგ შესრულებული იქნება დავალებანი მხოლოდ დღესასწაულის მომწყობ ც. კ. ყველა სტამბების წინადადება მიეცა საჩქაროდ დაამთავრონ თავის სამუშევარი, რომ შემდეგ მთელი ყურადღება მიაქციონ სადღესასწაულო საქმისას. ქაღალდის საქმის მთავარ მმართველობამ უნდა წარუდგინოს სახელმწიფო გამომცემლობის ცნობები ქაღალდის რაოდენობის შესახებ, რომ მოთხოვნილება ქაღალდზე ოქტომბრის დღესასწაულისათვის დაკმაყოფილებულ იქნას დაუყოვნებლივ.

◆ **სასურსათო ყრილობა.** 10 ოქტომბერს 1921 წ. ქ. თბილისში შედგება სასურსათო ყრილობა კავკასიის რესპუბლიკებისა შემდეგი პროგრამით: 1. მოხსენება რ. ს. ფ. ს. რ. სამხრეთ აღმოსავლეთ რუსეთის სახალხო სასურსათო კომისარიატის რწმუნებულისა სამხრეთ აღმოსავლეთ რუსეთისა და ამიერ კავკასიის რესპუბლიკების წლიური მომარაგების გეგმის შესახებ; 2. მოხსენება სახალხო სასურსათო კომისარიატის კომისრებისა: საქართველოსი, აზერბეიჯანისა, სომხეთისა, მთიულეთის რესპუბლიკის, ყაბარდოს, დაღესტნის, აფხაზეთის, აჭარის და ნახიჩევანის მხრისა—რესურსების, მოთხოვნილებების და მომარაგების გეგმის შესახებ; 3. მოხსენება ცალკე კავკასიის ლაშქრის უპროდარმისა და ამიერ-კავკასიის ცენტროლეფტის სატრანსპორტო მოსამარაგებელთა საზოგადოების გამგეობისა; 4. მოხსენება კოოპერატივების წარმომადგენლებისა: საქართველოსი, აზერბეიჯანის, სომხეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთის, აგრეთვე ცენტრალური კავშირისა და კავკასიის კავშირისა თავიანთ საკუთარო დამზადებაზე; 5. მოხსენება შეერთებულ საგარეო ვაჭრობის თავმჯდომარისა საზღვარ-გარეთ დამზადების გეგმაზე; 6. შემუშავება გაერთიანებულ მომარაგების გეგმისა სამხრეთ-აღმოსავლეთში და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში. ყრილობაზე მოწვეულნი არიან კავკასიის რესპუბლიკების სახალხო სასურსათო კომისარები, წარმომადგენელნი განსაკუთრებული კავკასიის ლაშქრის უპროდარმისა, ცენტრალური კავშირისა და ყველა რესპუბლიკების კოოპერატიული ცენტრიდან.

◆ **მასწავლებელთა და მოსწავლეთა უფასო წასვლა მოსვლა.** სახალხო განათლების კომისარმა აღძრა შუამდგომლობა საქართველოს რევკომის წინაშე, რათა მოსწავლეთ და მასწავლებელთ დაეთმოს უფასოთ განსაკუთრებული ვაგონები თავთავიანთ სასწავლებლებში გასამგზავრებლათ. ყველა სადგურებზე იქნება გაგზავნილი განცხადებები ამ ვაგონების მისვლის შესახებ. გადაყვანის დრო ცალკე გამოქვეყნდება.

— **მთლიანი შრომის სკოლის მასწავლებელთა კონფერენცია,** სახალხო განათლების კომისარიატის საორგანიზაციო ცენტრმა მოაწყო ქალაქ თბილისის მასწავლებელთა კონფერენცია, რომ სკოლის მომუშავენი გააცნონ მეთოდებსა და პრინციპს და აგრეთვე მთლიანი შრომის სკოლის ორგანიზაციას. კონფერენცია გაიყო 4 ეროვნულ სექციათ: ქართული, რუსული, სომხური და თათრული. კონფერენციის სხდომები ხდებოდა 28, 29, და 30 სექტემბერს ქალაქის სხვა და სხვა პუნქტებში. უკანასკნელ დღეს მოეწყო შეერთებული სხდომა ყველა სექციების. კონფერენციის მიერ იქნა დამუშავებული მოკლე მოხსენებები, რომელსაც მოყვა თათბირი, შემდეგი საკითხებით: შრომის სკოლის პრინციპები, შრომის მეთოდის არსებითი მხარე, შრომის სკოლაში ნაყოფიერი ფიზიკური შრომა, სკოლის მმართველობა და თვითმართველობა, პრაქტიკა შრომის სკოლისა და წესდება მთლიანი შრომის სკოლისა. კონფერენციაში დებულობდა მონაწილეობას 200 მდე მასწავლებელი ქ. თფილისისა.

◆ **ლტოლვილთა გაგზავნა სამშობლოში.** საქართველოს ცენტრალურმა საევაკუაციო განყოფილებამ რუსეთში გაგზავნა როგორც იმპერიალისტურ დროს სამოქალაქო ომების ლტოლვილების 8 ჯგუფი. ყოველ ჯგუფში 30 კაცია. გაგზავნილთა უმეტესობა წავიდა მოსკოვის, პეტერბურგის და კიევის გუბერნიებში და დონის ოლქში. მეცხრე ჯგუფი ამ დღეებში მიდის ციმბირში, შემდეგი ჯგუფები გაიგზავნებიან პეტერბურგსა და კიევში.

წარმოებითი პროფკავშირებში

მჩითავთა და მკერავთა გაერთიანებული ყრილობა.

ირჩევენ მომწყობ კომისიას: მაქსიმოვს, აბულოვს და დუდმიკოვს; მკერავნი: გრიგორიანს, მირზოიანს და მახაძეს. შაბათობის მთელი შემოსავალი უნდა გადაიდოს ვოლგის მხრის დამშეულთათვის.

მჩითავთა პროფკავშირის ცენტრალურ მმართველობის თავმჯდომარის ამხ. მაქსიმოვის მოხსენების შესახებ გაერთიანებულმა ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც გამოსთქვამს თავის მოწოდებას და კმაყოფილებას ორგბიუროს მოღვაწეობის გამო.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საჩითაო განყოფილების მოქმედებაზე მოხსენებით გამოდის განყოფილების გამგე ამხ. ასათიანი. 6 თვის არსებობის განმავლობაში საჩითაო განყოფილების მოქმედება გამოიხატა ორგანიზაციულ მუშაობაში და მხოლოდ ეხლა მოკიდა ხელი განყოფილებამ წარმოებით მუშაობას.

უწინარეს ყოვლისა შესრულებულ იქნა დიდი სამუშაო აღნიშნულ დარგის ყველა წარმოებების დათვალიერების აღრიცხვის მხრივ და იქ მყოფ ფაბრიკატების და ნედლი მასალის გამოკვლევისა და აღრიცხვის მხრივ. შერე მოეწყო ქარხნების მართველობები, დაინიშნენ წარმოების ხელმძღვანელებად ტეხნიკური კომისრები და საერთოთ შექმნილ იქნა ადგილობრივთ ადმინისტრატიული აპარატი და შემდეგ ცოტათ თუ ბევრათ ტეხნიკურათ მოეწყო წარმოებები. 1 ენკენისთვისათვის საჩითაო განყოფილების გამგებლობაში იმყოფება შემდეგი გაეროვნებული წარმოებები: ორი ბამბის დამრთავი ქარხანა, ყოფილი ძმ. მახმუდბეგოვებისა და ყოფ. მტნარაძესი და ხრიკულისა, ბამბის გამწმენდი ქარხანა ყოფ. ძმ. ზლატიგორსკებისა, ქეჩის ქარხანა, ყოფ. სააქც. ს.-ბაა. ზაქარიანცი და ს. ფ. ვარტაზარიანცისა, მაუდის ქარხანა ყოფ. კუშნირისა და დამგრესი, სახელოსნო ამხ. შეკტილისა, აღრიცხვაზე აღებული აბრეშუმის-მრთავი ქარხანა ყოფ. ქართული-პოლონური საქარხნო კავშირისა, დამგრეხი სახელოსნო კიუოკჩიევისა და ყოფ. კუბნერის კერძო სამკერვალო ძაფის სახელოსნო გაცემულია იჯარით ყოფ. პატრონსა და მის ამხანაგებზე.

ყველა ამ წარმოებებში იმყოფება 465 მუშა და 38 მოსამსახურე. იმავე 1 ენკენისთვის თვის საჩითაო განყოფილების პროვინციის განყოფილების გამგებლობაში ითვლებოდა შემდეგ აღრიცხვაზე აღებული წარმოებები: ბათუმის აბრეშუმის-მრთავი სახელოსნო ტეხნიკუმ-სახელოსნო სასწავლებელთან, ოზურგეთის აბრეშუმის მხვევი ქარხანა ყოფ. სულუხიასი, სამტრედიის აბრეშუმის მხვევი ქარხანა საფრანგეთ. მოქალაქის ბილონისა იჯარით აღებული იტალიელ ხოჯისგან, ხონის აბრეშუმის-მხვევი სანძისა და თელავის აბრეშუმის-მხვევი ქარხანა.

დაბოლოს მომხსენებელი ჩამოთვლის მთელს რიგ ზომებს საქმის დაყენების გასაუმჯობესებლათ. ყრილობას ამხ. ასათიანის მოხსენების შესახებ გამოაქვს შემდეგი რეზოლიუცია:

მოხსენება მთლიანად მოწონებულ იქნეს და წინადადება მიეცეს მომავალ ცენტრალურ გამგეობას, რათა თავის მუშაობაში შემდეგში მან დაამყაროს მჭიდრო კავშირი მჩითავთა განყოფილებასთან, რათა ამით აწეულ იქმნას შრომის ნაყოფიერება ს. ს. ს. რ. მჩითავთა მრეწველობის მუშებისა. ამასთანავე ერთად გაერთიანებულ ყრილობას დაუშვებლად მიაჩნია ტანსაცმლის სახელოსნოს ადელხანოვის ქარხნიდან გადატანა, ვინაიდან ეს გადატანა ნიშნავს ტეხნიკურად მდიდრულად მოწყობილობის დანგრევას, რომელიც არსებობს აღნიშნულ ტანსაცმლის სახელოსნოში.

პროვინციაში

კვათანის თემი (აბაშის რაიონი). კვათანის თემი ერთად-ერთი მნიშვნელოვანი თემია მთელ რაიონში. ამ თემში შედის დაბა აბაშა, რომელიც წარმოადგენს ცენტრს რაიონისას. აქ მოთავსებულია სხვადასხვა დაწესებულებები როგორც ადგილობრივი, თემის, ისე რაიონულ ხასიათისა. კვათანის თემი შესდგება შემდეგ სოფლებიდან: საკაჭარავო, საჩოჩიო, ნოლო-ბაში, კვათანა, რომა, კაპანა, საგვაზავო, საბოკუჩავო და მაცხოვრისკარი. საერთოდ კვათანის თემში მცხოვრებთა რიცხვი აღემატება 1800 კომლს, პარტიული მუშაობა კვათანის თემში ჩინებულად მიმდინარეობს ყველა იაჩეიკებში; სამხედრო ვარჯიშობა გაცხოველებულია, სწავლა-განათლების საქმე წინ მიდის; საერთოდ შეუდგნენ უცოდინართა ლიკვიდაციას. ყოველგან ამორჩეულია სკოლის სააღმშენებლო კომისიები, რომლებიც შეუდგენ თავიანთ მოვალეობათა შესრულებას. ჩვენ დავიქირავეთ ბინები სკოლის საჭიროებისათვის. ყველა სოფლებში დაწესებულია სამკითხველოები, იმართება წარმოდგენები რუსეთის დამშეულთათვის. მოსავალი წელს შედარებით შარშანდელთან ძალიან ნაკლებია, ამისი მიზეზი იყო ხანგრძლივი გვალვა.

გზების გაფართოებას ოთხ საჟენამდე და ხიდების შეკეთებას ყოველგან შეუდგენ.

მექი აბაშელი.

—

დაბა ხარაგაული. ხარაგაულის რაიკომის მდივნის ინიციატივობით 4 სექტემბერს, კვირას, იქნა მოწვეული მასიური კრება. დღის 12 საათზე კრება გახსნა ადგილობრივი პარტკომის პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. ალ. ბოგვერაძემ.

ილაპარაკეს ამხ. რ. ბუჩუკამ მიმდინარე მომენტზე, ს. თამაგარმა მიწის საკითხზე და პურის ნატურალურ გადასახადზე და ა. ბოგვერაძემ მოუწოდა მშრომელ ხალხს ორგანიზაციულ შეკავშირებისაკენ და განმარტა კომპარტიის პროგრამა, როგორც მშრომელი კლასის ინტერესების დამცველი.

თვითოეულ მოხსენებაზე იყო შეკითხვები, რაზედაც შესაფერისი პასუხი გასცეს ამხანაგებმა. კრება დაიხურა ორ საათზე და დამსწრენი კმაყოფილი დაიშალენ.

ა—ნე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ბრძანება № 83

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონურ კომიტეტისა.

1. საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის ამა 1921 წლის სექტემბრის 12-ს დადგენილებით, სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე ამხ. კვანტალიანი განთავისუფლებულია ამ თანამდებობიდან.

2. საქართველოს ს. ს. რ. სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეთ დაინიშნა ამხ. ალიაშვილი პეტრე სიმონის ძე.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ს. ქავთარაძე.
სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი შ. ელიავა.
რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. ხალარიძე.
1921 წ. სექტემბრის 22.
თფილისი-სასახლე.

ბრძანება № 84

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონურ კომიტეტისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის ამა 1921 წ. სექტემბრის 23-ს დადგენილებით, სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარის მეორე მოადგილეთ ინიშნება გენერალური შტაბის ამხ. კუზნეცოვი, ბორის ინოკენტის ძე.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ს. ქავთარაძე.
სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარი შ. ელიავა.
რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. ხალარიძე.
1921 წ. სექტემბრის 24.
თფილისი-სასახლე.

ბრძანება № 85.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონურ კომიტეტისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის ამა 1921 წ. სექტემბრის 1 ს დადგენილებით ამხ. ფრანგულიანი დანიშნულია ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრად.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ს. ქავთარაძე.
რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. ხალარიძე.
1921 წ. სექტემბრის 29.
თფილისი-სასახლე.

ცირკულიარი № 29.

შრომის სახალხო კომისარიატისა საპროფესიო კავშირთა გამგეობებს და დაწესებულებათა უფროსებს ლიკვიდაციაქმნილ პირთა სალიკვიდაციო ჯილდოთი დაკმაყოფილების შესახებ.

თანახმად შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიის ა. წ. სექტემბრის 10-ის დადგენილებისა ამით გაუწყებთ, რომ ყველა დაწესებულებას და საპროფესიო კავშირს ევალებათ მუშა-მოსამსახურენი მათი ლიკვიდაციის დროს ორი კვირით ადრე გააფრთხილონ სამსახურიდან დათხოვნის შესახებ და დააკმაყოფილონ სალიკვიდაციო ჯილდოთი კანონით გათვალისწინებული ნორმის მიხედვით.

იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება-წარმოება არ გააფრთხილებს ლიკვიდაცია ქმნილ პირთ, მაშინ სალიკვიდაციო ჯილდოს გარდა უნდა მიეცეს აგრეთვე ორი კვირის ჯამაგირი.

სამსახურიდან დათხოვნილნი გადაცემული უნდა იქნენ მუშა ხელის აღრიცხვა-განაწილების განყოფილების განკარგულებაში, რაც დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა აცნობოს ამ განყოფილებას.

შრომის სახალხო კომისრის მოადგილე ა. მიქაძე.
საქმეთა მმართველი გ. შერქნიშვილი.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.
— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი" ტელ. 1—33.
— მე-2-რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.
— მე 3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.
— მე-4-ხე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—52.
— მე-5-თე რაიონის ბიურო— აბანოს ქუჩა.
— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

ს. ს. ს. რესპუბლიკის სამხედრო ავიაციის სკოლა აცხადებს, რომ ა. წ. 30 სექტემბერს დაიღუპა ფრენის დროს მფრინავი

ამხ. ზერეკიძე

რომლის დასაფლავება დანიშნულია დღეს, 4 ოქტომბერს, დღის 12 საათზე, დიდუბის ეკლესიის გალავანში.

გამოსვენება არამიანცის საავადმყოფოდან; მსვლელობა თავისუფლების მოედნით და რუსთაველის პროსპექტით.

მუშათა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისია აცხადებს:

1. გაუქმებულია კერძო პირებზე 1 ოქტომბრამდე გაცემული ყველა ორდერები ავეჯსა და ჭურჭლეულობაზე.
2. დარჩენილი განსაზღვრულ რაოდენობის ავეჯი აწი მიეცემათ მხოლოდ მუშათა სახლებს.
3. ჭურჭლებს და სხვას გასცემს პროფკავშირთა საბჭო.
4. მუშათა სახლების ყველა კომენდანტებს და სახლკომებს წინადადება ეძლევათ სამი დღის ვადაში წარმოადგინონ მოთხოვნები ავეჯზე, მუშათა კომისიაში არსებულ ფორმის მიხედვით.

მუშათა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიის თავმჯდომარე ვ. ივანოვ-კავკასკი.
მდივანი: ა. ბდამოვი.
1 ოქტომბერი 1921 წ.

პარტიული

პირველი რაიონის კომისია პარტიის გაწმენდისა

წინადადებას აძლევს ქვემო მოხსენებელ ამხანაგებს რომლებიც იმყოფებიან 1 რაიონის იაჩეიკების გარეშე დაუყონებლივ გამოცხადდნენ ოთხშაბათს 5 ოქტომბერს ამა წელს 12 საათზე, 1-ლი რაიკომის ბიუროში პერერეგისტრაციისათვის. ამოსვლა სავალდებულოა ყველასათვის წინააღმდეგ შემთხვევაში გამორიცხულნი იქნებიან.

1. ალექსნინ ემილია, 2. დენისოვიჩ ზეკრი, 3. ჯაფარიძე კალისტრატ, 4. ჟუჟუნაძე გიორგი, 5. ქართველიშვილი საბა, 6. ყიფიანი ნიკოლოზ, 7. ქობულაშვილი ალექსანდრ, 8. კრავეიშვილი ივან, 9. კომაროვ დიმიტრი, 10. ლიტვინ იაკოვ, 11. ლიტვინ იაკიმ, 12. მარუაშვილი ბაგრატ, 13. მალიშევ ივან, 14. მგალობლიშვილი ტარასი, 15. მესონჟიკ ალექსანდრ, 16. მგელაძე ნინა, 17. ოქვრაშვილი იოსებ, 18. სტურუა კონსტანტინ, 19. თოფურიძე ივან, 20. ხომასურიძე კონსტანტინ, 21. შენგელია მალაქი, 22. ელბაქიძე ივან.

კანდიდატები: 1. აფრიდონიძე ნესტორ, 2. არხიპოვ ალექსანდრ, 3. გელიშვილი ალექსი, 4. ირემაშვილი გიორგი, 5. ტიგიშვილი ალექსანდრ, 6. ცინცაძე ვასილი.

პას. მგებ. მდივანი.

სხვა და სხვა

მწერალთა კავშირის სარევიზიო კომისიის წევრების საყურადღებოთ. 6 ოქტ. საღამოს 6 საათ. ხელოვნების სასახლეში (სერგიევის ქ. № 13), დანიშნულია მწერალთა კავშირის სარევიზიო კომისიის სხდომა. დასწრება სავალდებულოა.

ტირაჟი 10.000 ნ. დ. ხ. ლ. საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა კრუზენშტერნის ქ., № 4.